№ 151 ივლისი 17, შაბათი 1893 ივლისი 17,

ГАЗЕТИ ЦІНА

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაბეჭდავად ... ფასებშეწყობა უნდა ... ტარეს, კუკიაში, ავდრალის ... ქვეყლის პირდაპირ, თავ. გრუზინ... ლში; ფურა-ყოფილის გამავრცელებელ დოვის კანცელიარიას, სათავად-აზნაურთ ... ის სახლეში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრ-ქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

რა არის მიზეზი?

—

საზოგადოებაში დიდი ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რად დაანება თავი ქალაქის მოურავობას თავადმა ნიკოლოზ არდუთაშვილმა.

ამ საკანზედ თითონ თავადი ამბობს, რომ იგი იძულებული იყო გამოსულიყო სამსახურიდან ავადმყოფობის გამო.

ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს, რასაკვირველია, არ მივიღოთ სრულის რწმუნებით სიტყვები თავადის არდუთაშვილისა, მაგრამ საზოგადოება, როგორც ყოველთვის, ეხლაც ამ მიზეზში ჭხედავს მხოლოდ ოფიციალურს საბაბს და ჭფიქრობს, რომ აქ სხვა რამ უნდა იყოს, რომელიც უშლიდა ქალაქის მოურავს დარჩენილიყო თავის ალაგს.

დავაკმაყოფილოთ ამ „ურწმუნოთა“ სურვილი და შევუდგეთ გამოკვლევას. თუ არ ავადმყოფობა, მაშ სხვა რა მიზეზი უნდა ყოფილიყო „ურწმუნოთა“ ფიქრით, რომ თავადს არდუთაშვილს უარი განეცხადებინა ისეთ პატივსაცემ თანამდებობაზედ, როგორიც არის ქალაქის მოურავობა?

თავადი ნიკოლოზ არდუთაშვილი, როგორც წინად, ისე ეხლაც არჩეული იყო ხმისნად დიდის ხმის უმრავლესობით და ამ მხრით პატივცემულის მოდვაწის თავმოყვარეობის არა ვნებია-რა.

თავადი ნიკოლოზ არდუთაშვილი, როგორც ამბობენ, ეხლაც ისე უეჭველად იქნებოდა ამორჩეული ქალაქის მოურავად, როგორც პირველად, და არავის ეჭვი არ შესვლია, რომ თავადს სიშიშარი მოცილე გამოუჩნდებოდა ტფილისის მოურავის სავარძელზედ.

ამ სახით მოსვენებულის გონების კაცი უნდა დასჯერებულიყო იმ მიზეზს, რომელიც ქალაქის მოურავისაგან მოუვანილია და სრულიად პატივსადებიც არის რადგანაც თვალსაჩინო სხვა მიზეზი არა სჩანს-რა. მაგრამ უჯერო გონებას ადამიანისას როგორადაც ვერ ეცერეხება დიდის და უცნაურის ამბისათვის ეგრე ადვილად ჰოვნა მიზეზისა. ამიტომაც იგი ამისთანა შემთხვევაში უნებლიეთ ეძიებს სხვა უფრო მძიმე მიზეზს. ამისთანა უჯერონი ჭფიქრობენ, რომ რაკი წლევანდელმა არჩევანებმა ქალაქის საბჭოსა თვის აბკარად ცალკერძ გაიწია და ცალკერძი მიმართულება გამოამჟღავნა, თ. არდუთაშვილი არ მოისურვებდა ამ ცალკერძ გზაზე სვლასაო. არ ვიცით ეს უჯერო კაცთაგან ჰოვნილი მიზეზი რამოდენად მართალია, მაგრამ აქედან სჩანს, რომ საზოგადოებას დიდი პატივისცემა ჭქონია თ. არდუთაშვილისა, რომ ეს მიზეზი მიაწერა.

თუ მართლა ამ მიზეზმა აიძულა თავადი არდუთაშვილი, დაუნებებია თავი სამსახურისათვის, მაშინ ჩვენ გვესმის, რომ პატივცემულ მოდვაწეს სხვა ნაირად არც შეეძლო მოქცეულიყო.

მეველე

ახალი ამბავი

*** ტფილისის ქალაქის მოურავის თანამდებობის ამსრულებელმა ბ-ნმა პ. ა. იზმაილოვმა წარუდგინა ტფილისის გუბერნატორს მოხსენება ქალაქის მოურავად ნამყოფის თ. ნ. ვ. არდუთინსკი-ფოლგორუკის სამსახურიდგან გადადგომის შესახებ და ამასთანავე სთხოვს, ზოგიერთ მიზეზებისა გამო, ახალ მოურავისა და სხვა მოხელეთა არჩევანები შემოდგომამდე გადაიდოსო. ეს თხოვნა შემდეგ საბუთებზედაა დამყარებული: ა) ტფილისში საქალაქო დებულების შემოღებიდგან, ე. ი. 1875 წლიდგან, წესად არის მიღებული, რომ ივლისის და აგვისტოს თვეების განმავლობაში, სიცხეების გამო, ქალაქის საბჭოს კრებები არა აქეს ხოლმე. ბ) ამ ჟამად 30 ხმოსანზედ მეტი ან სოფელ არის გასული საზაფხულოდ ან საზღვარ გარედ; ზოგი მათგანი იმაზედ ადრე წავიდა ქალაქიდგან, ვიდრე ხმოსანთა სია იქმნა გამოცხადებული; და გ) ამ მიზეზების გამო ქალაქის თვითო-მმართველობის მოხელეთა ამორჩევა, თუ ამ ზაფხულშივე მოხდა, შეიძლება ხმოსანთა უმეტესობის სურვილის თანხმად არ იყოს. ყველა ამ მიზეზების გამო ბ-ნი იზმაილოვი სთხოვს გუბერნატორს, ახალი არჩევანები გადადებულ იქმნას შემოდგომამდე და, თუ ვინიცობაა გუბერნატორს ამ თხოვნის ასრულების უფლება არა აქვს, იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე და ზემოხსენებული თხოვნა წარუდგინოს.

*** ჩიკაგოს მსოფლიო გამოფენაზედ ამერიკა-კავკასიიდგან გგზავნილია ექსპონატები სხვა-და-სხვა დაწესებულებისა, საზოგადოებისა და კერძო კაცების მიერ. სხვათა შორის, ექსპონატები გაუგზავნიათ:

აბასთუმნიდგან: საასტრონომიო ობსერვატორიას—ფოტოგრაფიის სურათები და წიგნები შესახებ ობსერვატორიის მოქმედებისა.

ბაქოდგან: ბაქოს ნავთის მწარმოებელთა კრების საბჭოს და ძმათა ნობელების საზოგადოებას—წიგნები და რუკები ნავთის წარმოების შესახებ.

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას—სხვა-და-სხვა თესლეულობა, სხვა-და-სხვა ხილის ჩირი, თამბაქო, ბამბა და სხვა.

კავკასიის აბრეშუმის მოყვანის საგზურს—სხვა-და-სხვა ნიმუში აბრეშუმისა და ალბომები ფოტოგრაფიის სურათებით.

კავკასიის მთა-მადნის მმართველობას—ნიმუშები სხვა-და-სხვა მადნებიდგან.

კახეთის საუფლისწულო მამულებიდგან გაგზავნილია ღვინოები: წინანდალისა, მუკუზანისა და ნაფარეულისა.

გარდა ამისა ზოგიერთ კერძო კაცებსაც გაუგზავნიათ თავიანთი ექსპონატები. ამ ექსპონატების გამგზავნელთა შორის ქართველებიც არიან ქუთაისიდგან: რ. დ. ბერეჭიშვილს გაუგზავნია აბრეშუმეული და კავკასიის სხვა-და-სხვა ნაწარმოები.

სუხუმიდგან ქ ნ ნატალია ივანეს ასულს ქიქოძეს გაუგზავნია ოზურგეთის მაზრაში მცხოვრებ ქალებე მიერ სხვა-და-სხვა გვარი ნაქსოვები აბრეშუმისა.

ტფილისიდგან დ. ზ. სარაჯიშვილს—არაყი, ტკბილი სასმელები, კონიაკი და სხვ., თავის ქარხნებში გამოხდილი და გაკეთებული.

ტფილისიდგანვე თავადს ანდრონიკაშვილს გაუგზავნია ღვინოები.

შორაპნის მაზრიდგან (ქუთ. გუბ.) გ. ზ. ჩუბინიძეს და ამხ. გაუგზავნია ნიმუშები შავის ქვისა.

*** ამ ახლო ხანში სინოდის კანტორა ამბეჭდინებს ტფილისში ხუცურსს ენასა და მარხვანს. საკლესიო წიგნების ბეჭვდის გამო ბევრი ითქვა და დაიწერა. წიგნები მოსკოვში უნდა დაებეჭდათ, ვითომ იმ მიზეზით, რომ იქ უფრო იაფად დაჯდება დაბეჭდვა. კარგი იქნება სტამბის პატრონები ბეერს მოგებასა და სიხარბეს არ გამოეკიდნენ და, რაც შეიძლება, იაფად დაჰბეჭდონ ზემოხსენებული წიგნები. ეს უფრო იმიტომაა საჭირო, რომ მაშინ საბუთი ალარ ექნებათ სთქვან ამისთანა წიგნები მოსკოვში უფრო იაფად დაჯდებაო. სინოდის კანტორაც ერთისა და ორის სტამბის ანგარიშზე არ უნდა დამყარდეს და ყველა სტამბას უნდა წარუდგინოს ნიმუში და მოსთხოვოს ანგარიში. ვინც იაფად დაბეჭდავს და თან კარგს პირობასაც დასდებს, რომ საქმეს პირნათლად შეასრულებს, წიგნებიც იმას გადასცეს დასაბეჭდად. დაბეჭდილ წიგნების აკვარგიანობის გარჩევაც ერთსა და ორს კაცზე არ უნდა იყოს დამყარებული. რამდენიმე გამოცდილმა და სიმედო კაცმა უნდა შეამოწმოს სათითაოდ წიგნები და კანტორამ ისე ჩაიბაროს კორექტურასაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ ამისთანა წიგნების შეცდომებით დაბეჭდვა, რაიცა ხშირია, დიდი დანაშაულობა იქნება.

*** ოთხშაბათს, 14 ივლისს, დილის 9 საათსა და 20 წამზედ, ამერიკავკასიის რკინის გზაზედ, დალმამეთლისა და ქიორუქ-ჩაის სადგურებს შუა საქონლის მატარებელი № 41 ლიანდაგს გადასცდა. მატარებელს მოსმული ჰქონდა 60 ცალიერი ვაგონი და ერთი საქონლით დატვირთული. უცბად ორი ორთქლ-მავალი და ვაგონი ლიანდაგს გადასცდა, ვაგონები ერთმანეთს დაეჯახა და სუყველა დაიმსხვრა. დანარჩენი ვაგონები ძლიერ არ არის დაშავებული. რაღაც ბედნიერ შემთხვევით მემაშინე და კონდუქტორები არ დაშავებულან.

*** სოფ. ბესლანი (კავკასის მაზრა): ბარის ოსეთში ქალების მიერ თავის მოკვლა თითქო მოდათ შემოვიდა. ამ ერთის კვირის წინად ერთმა გასათხოვარმა ქალმა თავის მოკვლა განიზრახა სოფ. ბესლანში. საქმე ასე იყო: დედ-მამამ ქალი [illegible] ... და მიეთხოვებინა, ქალს-კი სხვა უნდოდა; დედ-მამა არა ჰყაბულდებოდა, ამიტომ ადგა და დამბაჩა დალია; მაგრამ წადილი ვერ აღესრულა, ექიმებმა ტყვია ისევ ამოუღეს და თითქმის სრულებით მორჩა.

*** სოფ. ერიეთ (კავკასის მაზრა): 3 ივლისს ცა მოიღრუბლა, ანგ-მარეს შავი ღრუბელი გადაეფარა და დაუშვა საშინელი სხვილი წვიმა. წვიმას თან მოჰყვა სეტყვა და სულ ერთიან განადგურა ირიყლების და სოფ. ბრუთელების მოსავალი. შემდეგ სეტყვა გადაშვა ჩრდილოეთისკენ. ირიყის და ბთაყოს მინდვრების საზღვარზედ კალიამ იჩინა თავი; ამ ალაგებში შარშანაც იყო კალია და წელსაც გაჩნდა.

ფელეტონი

საკუთარი რამე-რუმე

(წერილი პროვინციიდგან)

არ მინდა გულ-ნაკლულად დამჩნეს მკითხველი. უსიამოვნო და საკვირველ ამბის შემდეგ ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა აღვნიშნო. ვინ არ იცის, რომ ჩვენს მდაბიო ხალხში ცრუ-მორწმუნეობა და უვიცობა ჯერ კიდევ თავისუფლად პრპაშებს; მკითხავები, შემლოკავები და სხვა ამ გვარი სულ-გაყიდული მატყუარები ჯერ კიდევ ხელ-შეუბებლად მეფობენ და ბრძანებლობენ. იმათ საკურთხეველზე ნიადგ აუარებელი მსხვერპლი იწირება ადამიანის სიცოცხლისა ერთის მხრით და ნივთიერ შეძლებისა—მეორეს მხრით, გარა, ჩვენდა სასიხარულოდ, ვხედავთ ისეთს სანუგეშო ნიშნებს, რომ დღესა თუ ხვალ, წელს არა, გაის, უნდა დაირღვას ეს სამარცხვინო სამსხვერპლო და საბოლოოდ უნდა შეიმუსროს იმის ქურუმთა ბრძანებლობა. ამ უკანასკნელ წლებში ტფილისის საფერშლო სასწავლებელმა რამდენიმე ფერშალი აღგვიზარდა, რომელნიც თავიანთ სოფლებში დაბრუნდნენ, მდაბიო ხალხში ტრიალებენ და, შეძლებისამებრ, გაკირვებულ მოძმეთა ჭშველიან. წელს კიდევ იმავე სასწავლებელში ხუთმა ახალგაზდა გურულმა დაამთავრა სწავლა. იმედია, ეს ახალგაზდანიც თავიანთ სოფლებში, თავიანთ მოძმეთა შორის დატრიალდებიან და მედგრად შეებრძოლებიან ჩვენს ათას გვარს ცრუ-მორწმუნეობას ავადმყოფობა მოვლა-წამლობის შესახებ. სადმე გადაკარგულსა და გადაქაჯულ მხარეში ადგილის ძებნას და რამდენსამე წელიწადს შემდეგ კოლლეფსკი რეგისტრატორობის მიღებას ისა სჯობს, რომ თავიანთ ხალხში და მამეული გაისარჯონ. განა შეეძლება და შეეწონება რომელიმე ჯილდო, რომელიმე ჩინი სულის სიმშვიდის მოპოვებას! ხოლო სულის სიმშვიდე მოიპოვება მაშინ, როცა კაცი ჰგრძნობს, ჩემს მშობელ და აღზრდელ ქვეყანაში, ჩემს მამეულში მეც ერთი მუშაკი ვარო, მომმეთა სამსახურში მეც წილი მიდგესო. ხოლო რომ დასახელებულ ახალგაზრდათ შეუძლიათ არა მცირეული სამსახური გაუწიონ ჩვენს ქვეყანას, ეს ყველასათვის ცხადია. საჭიროა მხოლოდ სურვილი უნუგეშოთა ნუგეშის ცემისა, საჭიროა უარყოფა „კუჭის მრწამსისა“ და ჯიბის მცნებისა და სხვა ყველაფერი ადვილია.

გზა დაგვილოცნია ამ ახალგაზდებისათვის, თუ გაგვიმართლებენ იმ იმედს, რა იმედითაც ვეგებებით!

**

ჩვენში ახალგაზდა ვაჟებს გარდა ახალგაზდა ქალებიც ხომ არიან, რომელნიც ამთავრებენ სწავლას გიმნაზია, პროგიმნაზია, ინსტიტუტსა და სხვა სასწავლებელში. რასაკვირველია იმათი რიცხვი მცირეა, მაგრამ არც იმდენად, რომ ყურადღების მიქცევად არ ღირდეს. მაშ, ნება გვიბოძეთ ვიკითხოთ, რად არიან, რას აკეთებენ და რა ფიქრითა და აზრით აღებ-მიცემობენ ჩვენი ახალგაზდა ნასწავლი ქალები? გაკადნიერდები და ამ საკითხზე მეც ვიპასუხებ. ჩვენი ახალგაზდა ნასწავლი ქალები ბრძანდებიან იქ, საცა „სკურნაობა“ არ არის, ე. ი. ქალაქებში; კითხულობენ უცხო ენებზე დასტამბულ რომანებს (მათის ჭკუით უფრო შესანიშნავ ადგილებს ამ რომანებიდამ კიდევაც ზეპირობენ); გულ-დადებით ათვალიერებენ „მოდნი ჟურნალებს“; თვალ-გფუცეცებით ეძებენ გაზეთის უკანასკნელ გვერდზე განცხადებას იმის შესახებ, თუ სად იყიდება და იშოვება საუკეთესო ოდე-კალონი, პუდრი, ბლიცერინი, შოკოლადი და სხვ., ფეიქრობენ და ოცნებობენ ამ ბედნიერ დღესა და წამზე, როცა რომელიმე ფიცერი „ბრედლოჟენიას“ გაუკეთებს და „ვლიუბლიონი“ გახდება. აი, მოკლედ და მოკრით ჩვენ

*** გაზეთ „Т. Л.“-ის სიტყვით, ამ ბოლო დროს ტფილისში გავრცელებულია ყვავილი, განსაკუთრებით პატარა ფეთხაინის ქუჩისა და მახლობელ ადგილების მცხოვრებთა შორის.

*** 15 ივლისს შუაღამისას „დვარიანსკი ნომრებეში“ სიმთვრალის გამო სახლის მეორე სართულიდან გადმოვარდა ივანე სტეფანეს ძე დარახველიძე და ისე მძიმედ დაშავდა თავსა და ხელში, რომ საეჭვოა მორჩენა.

*** ამავე დღეს განოვის ქუჩაზე იპოვნეს სამის დღის დაბადებული მიგდებული ბავში და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ᲚᲘᲗᲒ. ᲤᲚᲐᲕᲘ (გორის მაზრა). 8 იკლისა. ამ ხანად დიდი ჩოჩქოლია ჩვენს საზოგადოებაში, პატარა ლიახვზედ ხიდის გაკეთების გამო, რასაც მოთავეობს გორის მაზრის მარშალი. აუარებელი მუშა ირევა ამ მდინარის ნაპირებზედ, ზოგნი ბარებითა და ნიჩბებით, ზოგნი—მასალით დატვირთულის ურმებით. დილა ადრიან ახლო-მახლო მდებარე სოფლების მოხელეები ერეკებიან ხალხს სამუშაოდ. მთელის მაზრისათვის ამ ხიდს ექმნება ფრიად დიდი მნიშვნელობა. თვით ბ-ნი მარშალიც არაფერს არა ზოგავს ამ საქმისათვის. მისისავე მეცადინეობით ჩვენის მხრის თავად-აზნაურობამ აღმოაჩინა შეძლების დაგვარად თანაგრძნობა და დახმარება ხიდის გაკეთების საქმეს. ამ ნაირად ყოველ წლივ რამდენისამე ქართველის კაცის სიცოცხლე იქნება გადარჩენილი, გარდა იმისა, რომ ხალხი უგულისხმოქოდ, უვნებლად და მშრალად გავა-გამოვა ამ შფოთიანს მდინარეს. თუმცა-კი ამ ყმად სოფელი დიდ მოუცელელობაშია: აქ სიმინდის თოხნაა, იქ ქერეობა გასაპრეკი, აგერ მკამაც მოგვატანა, მაგრამ ამისთანა საზოგადო კეთილ საქმის წინაღ დგებ ხმას ვინ ამოიღებს? მეტადრე ეხლა, ჭინახულებს კი პირი უჩანს, თუმცა ზოგან ბარტყი აიტანა და დაბლობებში აქ კიდეც ოდა. ვენახებსაც ფურჩრიან. კი მოსავლის იმედი გვაქვს, თუმცა შარშანდლისტოლი-კი მოგვიმალდება.

მეორე სასიამოვნო ამბავი აქ ის გახლავთ, რომ ჩვენს მაზრაში, მოგახსენებენ, მთავრობისაგან დანიშნული მამასახლისები გვეყოლება მალეო. გუბერნიის უფროსი ავალებს მაზრის უფროსს, რომ მან კეთილ-სვინდისიერი და ადგილობრივის გარემოებისა და საჭიროების ზედ მიზვენით მცოდნე, წოდების განურჩეველად, წარუდგინოს დასამტკიცებლადაო, და ჩაბარონ ორი ანუ სამი სამამასახლისო ერთად. სასიამოვნოა მეთქი, მოგახსენებთ, ეს ამბავიც ისეთმა, რომ ჩვენის მაზრის უმფროსი თავადი რეგ. ერასთავი, როგორც გამოცდილი, დაახლოებით მცოდნე ჩვენის ხალხის ავ-კარგიანობისა, ისედა, დიდის სიბრთხილით დაგვინიშნავს ისეთ შესაფერ კაცებს, როგორებსაც დიდი ხანია საჭიროებს საზოგადო კეთილ-დღეობა და წრმატება. იმათ არ ეცლებათ გადაჭარბებულ უმნიშვნელო ქაღალდების მიწერ-მოწერისათვის; ისინი იქნებიან ნამდვილი სახლის მამები, სიტყვითაკი არა—საქმით, აღადგენენ ჩვენს ძველებურს სოფლურს წესსა და რიგს, დაამყარებენ მშვიდობიანს ურთიერთობას, მოსპობენ ოსების ქურდობას, აგრეედვე ბეერნაირს უთანხმოებას და სხვა და სხვა...

რომ ამაებს გადაჭარბებით არ მოგახსენებთ და ყოველისავე ზემო ხსენებულ სათნოების ჩამოგდება შეუძლიან რიგიან, საზოგადო ინტერესებით გამსჭვალულს კაცს, ამის მაგალითებს ჩვენ უკვე ვხედავთ, სადაც მთავრობამ თვით დანიშნა სინდისიერი მამასახლისები. ღვთის მადლით, ამ ნაირი, არ ვიტყვი იდეალებით აღჭურვილნი, არამედ პატიოსნურის შრომით სამსახურის მსურველნი მოიპოვებიან ჩვენ შორის ხნიანებშიაც და ყმაწვილ-კაცებშიაც.

ამასთანავე ჯამაგირებსაც საკმარისს უნიშნავენ თურმე, რომ შედარებით უზრუნველ ჰყონ ცხოვრებაში გაჭირვებისაგან, რათა ამის გამო აღარ გადუხვიონ გზას მოგალეობისა და სოფლის სამსახურისას. რასაკვირველია, ბევრი უხამსი, უღირსი მიეტანება ამ ალაგს, რომ საზოგადოების ქერის ორმოში მოექცეს, მაგრამ მოსტუვდება: საზოგადოებას ისე აღარა სძინავს. მაინც და მაინც მომავალი მამასახლისი იმას არ იზამს, რომ დამალოს რამე გადამდები ავადმყოფობა. შარშან ღმერთმა ხორველისაგან სრულიად დაგვიფარა და წელს-კი, აგერ რამდენი ხანია, ფლავის-მანში სახადია, ხალხი იტეტყება და მთავრობისათვისაც ვერ უცნობებიათ. ახლა ჩვენს ფლავშიაც გადმოედოთ (დათუკა ბიძიონაშვილის ოჯახში სუყველანი ავად არიან) და არ აცხადებენ იმისოვის, რომ ექიმისა და წამლების ფულს სოფელს წავგარეთმეგენო. თუ მარტო ეს მიზეზია და არა ჩვეულებრივი დაუდგრობა, ან ისა, რომ ექიმისა არა სწამთ-რა, მაშინ ის ხარჯი, უფრო სამართლიანობა იქნება, აქ მცხოვრებ თავადაზნაურებზედაც გაიწეროს, რაც შეხვდება ან კომლობრივ ან სულზედ, რომ მთლად ისეც მძიმე ეღელი ხარჯებისა მარტო გლეხებს არ დაგაწვეთ. „ამაზედ უარესს რას დაგვმართებს რაღაც სახადიაო, ურიას ღორის შეშა ეძნელებოდეს და გოჭიც ზედ დაუდესო“, ამბობენ გადეუხერებულნი გლეხნი.

ᲧᲣᲒᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ (ბაქოს გუბერნია). ყუბის მაზრა თვის მდებარეობით, მიწის სინოყიერით და ბუნების სიმდიდრით შეიძლება ჩითვალოს პირველ ადგილად ბაქოს გუბერნიაში.

ამ მაზრის მთოლოდ ერთ მეხუთედ ნაწილს, რომელსაც ეწოდება „ბუშუყურა“, შეუძლია გამოჰკვებოს სამი ყუბის მაზრა. აქაური აუარებელი ბაღები აწოდებენ თვის გემრიელ ხილს, არამც თუ მეზობელ ქალაქებს (ბაქოს, შუშას, დარუბანდს, შემახიას და სხვ.), არამედ ათას ფეთობით იგზავნება რუსეთში. დიაღ, თუმცა აქაური შავი მიწა თვის სინოყიერით შეუდარებელია, თუმცა მაზრა მდიდარია სახნავ-სათეს, სათიბ მინდვრებით და ხეხილის ბაღებით, თუმცა, მართალაც, ოტას შეხედვით კავკასიაში ამ გვარ კუნჭულს, სადაც ბუნებას უხვად მოენიჭებია ყოველი, რაც საჭიროა კაცის კეთილ-დღეობისათვის, მაგრამ მცხოვრენი ამ მაზრისა დიდს სიღატაკეში არიან. მიზეზი ამ შესაბარალის მდგომარეობისა იყო და არის (მგონი, იქნება კიდეც) გუნდი ფირალებისა, რომელიც, აგერ რამდენიმე წელიწადია, დანავარდობს არხეინად ყუბის მაზრაში. რამდენი კაცის კვლა და ავაზაკობა ჩაიდინა ამ გუნდმა, კაცი ვერ მოსთვლის; არა ნაკლებ გასაკვირველია ის, რომ ეს გუნდი, შემცირების მაგივრად, თან-და-თან მატულობს და ეხლა, როგორც ისმის, 20 კაცზე მეტისგან შედგებაო; გუნდს წინამძღვრობს განთქმული თვის ავაზაკობით ნასრადინ-ბეგი, რომელმაც, სხვა სისაძაგლეთა შორის, შარშან, დღისით მოუსპო სიცოცხლე 8 ჩაფრით მიმავალს გზაზედ ბოქაულს გეოგჯაევს, მის დასაპერად წასულს. მცხოვრებნი რომ ხელს უწყობდნენ ადგილობრივ მთავრობას და თვითვე არ უმასპინძლდებოდნენ ავაზაკთ, იქნება შემცირებულიყო მაინც უკანასკნელთა რიცხვი. მაგრამ მცხოვრებნიც იმდენად არ არიან განსატყუენნი, როგორ ისე არიან დაშინებულნი ავაზაკთაგან, რომ მათ შესახებ საკუთარ სახლშიაც ვერ ლაპარაკობენ თამამად, ხოლო თუ ვინმე გამოჩნდება აგეთი გულადი, რომელიც თავს იდებს და შეატყობინებს, ვისაც ჯერ არს, ავაზაკთა ბინას, იმ გვარი გამბედავი ვეღარ ეღირსება ხილვას თვის სახლისას, რადგანაც ამბის მიმტანს შინ დაბრუნებისას სიცოცხლეს უსპობენ. ვინღა ატყობინებს ავაზაკთ ვინაობას ამბის მიმტანისას ისე სასწრაფოდ, —აი ესა არის დღემდის ძნელი გამოცანა აქაურებისათვის!...

აქაურებს, თითქმის ვერავის შეხვედებით უიარაღოს: ვისაც შეუძლია მისი ტარება, ხელიდგან არ უშვებს, თუმცა ათასში ერთი არ ხმარობს ამ იარაღს ავაზაკთა წინააღმდეგ. აქაურებმა ხშირად იციან იარაღით ერთმანეთის შებრძოლება. ძალიანაც მასდევენ ჩვეულებას სისხლის აღებისას. ამის გამო ისე დღე არ გავა, რომ ყუბის მაზრაში 4—5 და ხშირად მეტიც კაცის კვლა არ მოხდეს.

მთავრობის განკარგულებით, ბევრნი აქაურთაგანნი ატარებენ დროს ავაზაკთა დევნასა ტ დარაჯობაში ტ მით სცდებიან თვის საქმეებს. რომელი სოფელიც საეჭვოა, იმ სოფელს უყენებს მთავრობა საკუთარს მამასახლისებს ყაზახებით. მამასახლისებს ეძლევათ თვეში სოფლისაგან 15 მან. და მის ყაზახებს შვიდ-შვიდი მან. უკანასკნელნი არიან რიცხვით 2—5 მდე, ასე რომ, რომელ სოფელშიაც არიან ისინი დაყენებულნი „ეგზეკუციად“, იმ სოფელს ყოველ-თვეე ემატება კიდე, სხვა ხარჯთა გარდა, 35—45 მან. ამას გარდა, ზაფხულობით ასობით ყაზახები დაიარებიან; დაიარებიან აგრედვე პოლიციის მოხელენი, რომელნიც სდევნიან ავაზაკთ და ყველა ამ ხალხს შენახვა და მოვლა აწევს სოფლებს. ყოველისავე ზემოხსენებულის შემდეგ, მგონი, ადვილი წარმოსადგენია, აქაურების მდგომარეობა. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ $^1/_{10}$ აქაურებისა თუ შეიძლება ჩითვალოს ცოტა-დენ შეძლებულებად, ისეთებად, რომელთაც შეუძლიანთ შენახონ თავი გაუჭირვებლად ერთ მოსავლიდგანმეორემდე, თორემ $^9/_{10}$ სულ სიღატაკეშია და საიდგან უნდა გაუძღვენენ ამისთანანი ამდენს გარდასახადს! აი, ამიტომაც, ხშირად შეხვდებით აქაურს გლეხს, რომელსაც ამოუჩარია იღლიაში, თითქმის უკანასკნელი საბადებელი, ან ჭურჭლიდგან, ან ძველ ხალიჩიდგან და დაიქვს ჩალის ფასად გასასყიდად ქალაქში, რომ მით მოიშოროს ნაწილიც არის თავის მოვალეობისა, რომელიც არ აძლევე მოსვენებას...

ყუბის მაზრა დასცა ნივთიერად და თითქმის მიწასთან გაასწორა ენდროს ფასის დაცემამ. ენდრო უწინ თურმე მილიონ ფუთობით იგზავნებოდა ყუბის მაზრიდგან რუსეთში და საზღვარ გარეგ. ძველი კაცები ამთხვრით გაიხსენებენ ხოლმე მაშინდელს დროს და თანაც ამბობენ: „ენდროს ფასი რომ არ დაცემულიყო, განა ეხლა ქ. ყუბას ბაქო აჯობებდაო!

გ. სალარიძე

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲖᲝᲛᲗ ᲘᲕᲔᲠᲔᲗᲘᲡᲐᲛ

ვინც ჩვენის ქვეყნის ავ-კარგიანობას დაჰკვირებია, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იმერეთში საზოგადოდ და განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში პირველ-დაწყებითის სწავლა-განათლების საქმე ვერ არის მტკიცე ნიადაგზე დაფუძნებული. ამას ის გარემოებაც თვალ-საჩინოდ ამტკიცებს, რომ შორაპნის მაზრაში სულ ათიოდე საერო სკოლაა და ოტა ამაზედ მეტი სამრევლო, მაგრამ უმეტესი ნაწილი ამ სკოლებისა მარტო სახელით არის და არა თავის დანიშნულების გამართლებით.

სამრევლო სკოლებზე ბევრი საყვედური არ გვეთქმის, რადგან ისინი საზოგადოდ მოკლებულნი არიან ყოველსავე საშუალებას, მაგრამ სამრევლო სკოლებზე მეტის სარგებლობის მოტანით, მგონია, ვერც საერო სკოლებმა დაიკვეხონ, თუმცა ისინი ნივთიერად გაცილებით უფრო უზრუნველ-ყოფილნი არიან. მთელს ზემო იმერეთში სამი სკოლა არის საუკეთესო სკოლად მისაჩნევი: ხარაგაულისა, კოლბოურისა და ჩიხისა. აგერ ექვსი წელიწადი გადის, რაც, სხვებთან ერთად, მეც ვესწრები ხარაგაულის სკოლაში ყმაწვილების გამოცდასა და ყოველთვის ნასიამოვნები ვრჩები ხოლმე შეგირდების ცოდნით. ეს გარემოება მით უფრო შესანიშნავია, რომ ხარაგაულის სკოლაში ასზე ნაკლებ მოსწავლეს იშ-

---

ახალგაზდა ქალთა ვითარება. საქმიანობას, აზრიან ცხოვრებას მათი გადასხვავებული, ასკილზე ნამყნობი სული და გული არ ეკარება. წარმოიდგინეთ იმათი მოჯადოება, როცა განგებ ისეთ სასწავლებელს ეტანებიან, სადაც უფრო მეტს „კოკეტკობას“ შეითვისებენ. აბა შეიხედეთ საბებიო ინსტიტუში, თუ იქ ჩვენებური ქალი სანთლით მოსძებნოთ. ნასწავლი ბებია ქალი-კი ჩვენს ქვეყანას ნატვრის თვალად გადაქცეია. ეს ნაკლი იმდენად დიდია ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეში, რომ ორისავე თვალით ბრმა და ორისავე ყურით ყრუ უნდა იყოს კაცი, რათა ვერ შენიშნოს. ვინ იცის, რამდენი ჯანითა და ღონით სავსე ახალგაზდა ქალი ესალმება წუთ-სოფელს დედობრივ მოვალეობის აღსრულების დროს, რამდენი ოჯახი ობლდება, რამდენი უსუსური ბავშვი კვდება ან მახინჯდება ობრად და უპატრონოდ დაშთენილი! სულ იმიტომ, რომ სოფლად ნასწავლ ბებია ქალის ხსენებაც არ არის. მძიმესა და პასუხ-საგებ საქმეს ბებია-ქალისს მოხუცებულობის გამო სანახევროდ დაყრუებულ-დაბრმავებული ბებრუხნები ასრულებენ და ვინ მოსთვლის, რამდენი ცოდვა და ცეცხლი დატრიალდება მათის უგუნურებისა და უმეცრების წყალობით. ნუ თუ ყოველისავე ამის შემდეგ ჩვენ ახალგაზდა ქალებს და მათ მშობლებს არ უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ზურგს აქცევენ საბებიო ინსტიტუტს და სხვა მაგ გვარ სასწავლებელს! ნუ თუ მართლა იმდენად გადაბირდნენ და გადაგვარდნენ, რომ ჩვენის ქვეყნის ბედ-იღბალი აღარ ეინტერესებათ! ხოლო თუ ეინტერესებათ, რატომ არ ემზადებიან ისე, რომ ქვეყნის სამსახური შეიძლონ. ჭეშმარიტად დამაღონებელი და დამფიქრებელი ამბავია ეს ამბავი და იმედია, რომ ვისმეს კიდევაც დაფიქრებს და დაფიქრების შემდეგ თავის აზრსა და მსჯავრს წარმოათქმევინებს ამ, ჩემის აზრით, საყურადღებო საგანზედ.

**

დასასრულ, ერთი სასიამოვნო ამბავიც. „იბერიის“ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ სოფ. აკეთში სახალხო წიგნთ-საკავი გაიმართა. ბევრი იყო იმ აზრისა, რომ აკეთში წიგნი მკითხველს ვერ იშოვისო, მაგრამ სულ წინაღმდეგი ამბავი მოხდა. წიგნის კითხვის სურვილი ჩვენს ხალხში თურმე დიდი ყოფილა და ჯერ-ჯერობით ამ სურვილმა დიდადაც იჩინა თავი. დიდის ხალისით მიაქვთ წიგნები წასაკითხად და დიდის მადლობით აბრუნებენ უკან. განსაკუთრებით ახალგაზდები, განურჩევლად სქესისა და წოდებისა, ეტანებიან ჩვენს ნორჩს წიგნთ-საკავს. ხოლო ყველაზედ მეტად წიგნის კითხვის სურვილი სასოფლო სკოლის შეგირდებმა და ნაშეგირდლებმა გამოიჩინეს. მაგრამ უბედურობა ის არის, რომ ჩვენი საყმაწვილო ლიტერატურა ძლიერ ღარიბია, რის გამოც წიგნთ-საკავს არ შეუძლია დააკმაყოფილოს პაწია მკითხველთა სურვილი ისე, როგორადაც სასურველ-სანატრელია... ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში თუ ბევრად არა, ოტად მაინც არის გაბნეული ყმაწვილთათვის საკითხავად გამოსადეგი მოთხრობანი, რომელთა თავის მოყრა, გადასინჯვა, გადარჩევა და პაწია წიგნებად გამოცემა საჭირო. მაგალითისათვის ავიღოთ ვაჟა-ფშაველას „უჭეშო ჯირი“ (ამა წლის „იბერია“ №№ 74, 75 და 76). ეს ნაწარმოები რომ ცალკე წიგნაკად გამოიცეს, პატარები-კი არა, დიდებიც სიამოვნებით წაიკითხავენ. იმედია, ამ ყურადღებას მიაქცევს ტფილისისა და ქუთაისის წიგნის გამომცემი ამხანაგობანი და ხან-დაზმით ქართველ პაწია მკითხველთაც მიაწოდებს შესაფერ წიგნებს წასაკითხად. საქმე პატარაების გაძღოლა და გზის ჩვენებაა, რათა არ გადაგვიგვარდნენ, თორემ გადაგვარებულ დიდებთაგანის, ხელ-ახლა გადმოგვარება არავითარ სასწაულთ-მოქმედ ძალას არ შეუძლია, ხოლო ვინც-კი გადუგვარებელნი დარჩენილან, თავის-თავადაც გიიცლევენ საჭირო დროს გზას.

დათიკო ვერმიცანაშვილი

ვიათად ჰნახავთ. მაგრამ ერთ-კლასიან სკოლას, რაც უნდა იყოს, იმოდენის სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან, რამოდენიც ორ-კლასიანს. ამ მოსაზრებით აქაურმა მასწავლებელმა და პოლიციის ბოქაულმა ბ-მა ა. წერეთელმა განიზრახეს შეეგონებინათ ხალხისათვის ორ-კლასიანის სკოლის გამართვა. ამის შესახებ ოთხ-ხუთჯერ იყო ყრილობა, მაგრამ ხალხი ყოველთვის „არ გვინდას“ ძახილით დაიშალა. ამას წინად, ჩემდა მოულოდნელად, გავიგე, რომ ხარაგოულის საზოგადოებას ორ-კლასიანის სკოლის გამართვის შესახებ განაჩენი დაუდგენია და მომავალის ენკენისთვიდამ უსათუოდ მეორე კლასი უნდა გაიხსნასო. ამ ამბით ნასიამოვნები ერთ მშვენიერ დღეს ხარაგოულისაკენ გავემგზავრე და პირდაპირ მასწავლებელთან მივედი.

— როგორ არის თქვენის სკოლის საქმე, მართლა ორ-კლასიანთან გადააკეთეთ? ვკითხე მასწავლებელს. — „გადავკეთეთ, მაგრამ ვერ გადავაკეთეთ, მომიგო მასწავლებელმა. შენ თითონ იცი, ამ საქმეზე, დიდი ხანია, ლაპარაკია. ამას წინად დირექტორი მოვიდა, მამასახლისს ხალხი შეაკრებინა და გამოუცხადა საზოგადოებას, რომ ოთხს მანეთს დირექტორი შემოგაწევსთ სასკოლო შენობის ასაგებად, თუ სკოლას ორ-კლასიანად გადააკეთებთ და მეორე მასწავლებლის ჯამაგირს იკისრებთო; სკოლასთან სამეურნეო განყოფილებაც იქმნება და დიდ სარგებლობას მოუტანს ამ საზოგადოებასაო. საზოგადოება თანხმა შეიქმნა, განაჩენი დაადგინა და დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა. ამ ნაირად საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ გამოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც ხალხს შეაგონეს სასკოლო შენობის ასაგებად, თუ სკოლას ორ-კლასიანად გად

გასართობი

ერთხელ, 1868 წ. ნაპოლეონ მე-III-ს სამხედრო მინისტრი ნიელი, უბრალოდ ჩაცმული, ჩაჯდა ვაგონში და პარიჟიდან ვერსალს მიემგზავრებოდა. იმავე ვაგონში ჩაბრანდა ოთხი გამოწყეკილი იუნკერი და პაპიროზები გააჩაღეს. ნიელმაც მოუკიდა სიგარას. ვაგონი მალე კვამლით გაივსო. ნიელმა ფანჯარა გააღო. ერთმა იუნკერთაგანმა მოურიდებლად მიხერა ფანჯარა.

— აქ ძლიერა ცივაო!

უცნობმა მეზობრმა ხელმეორედ გააღო ფანჯარა. არც იუნკერი ჩამორჩა და ისევ მიხერა...

— უკაცრავად—უთხრა უცნობმა ზრდილობიანად—მე როდესაც პაპიროზს ვეწევი, სუფთა ჰაერი ძლიერ მიყვარსო. დაჰკრა ხელი ფანჯარას და შუშა ჩალეწა. იუნკერი ძლიერ გაჯავრდა.

— მოწყალეო ხელმწიფეო! ეგ ჩემი შეურაცყოფაა! თქვენ მაგაზედ პასუხს გაგცემთ.

— დიდის სიამოვნებით.

—მე გახლავართ იუნკერი სენ-სირის მეორე ბატალიონის სამხედრო სასწავლებლისა,— და სადარბაზო ბარათი გადასცა. უცნობმა ჯიბეები გაისინჯა, მაგრამ ვერა იპოვა-რა.

— მეკი სამწუხაროდ თან არა მქონია ბარათი და ხელ გამოგიგზავნით.

მატარებელი მივიდა ვერსალს.

უცნობი მიებრუნდა კონდუქტორს.

— მე შუშის ფასს მე გადვიხდი.

— კეთილი, ბ-ნო მარშალო!

იუნკერებმა თვალები დაპკიტეს.

— ვინ არის ეგ კაცი? ჰკითხეს კონდუქტორს.

— ჩვენი მინისტრი, მარშალი ნიელი....

მეორე დღეს ნიელი სენ-სირს მივიდა და დამწკრივებულ იუნკერთა რაზმში იცნო გუშინდელი მტერ-მოყვარე.

— ბ-ნო გენერალო, ეს თქვენი ყმაწვილები ძალიან მტკვნები არიან? ხმა მაღლად ჰკითხა ნიელმა, ისე რომ ჩვენმა რაინდებმაც გაიგონეს. ამაზედ მეტი ნიელს არა უთქვამსრა.

წერილი რედაქციის მიმართ

ნუბა გკბობოეთ, თქვენის პატიკეემეულის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც მე, ისე რწმენებულმა ჩემმა მოსკარ-ანგელოზის ტაძრის მრეკლმა ამა სსენებულის ტაძრის სტაროსტა გიორგი ბერის ძის კოსტაკეს შეუდღეს ალდატს, რომელმაც შემოსწირა ხსენებულს ტაძარს ერთი ფარჩის კრეტ-საბმელი, ღირებული ხუთმეტ მანეთად და ერთი ჭაღი, ღირებული ოცდა-ხუთ მანეთად; აგრედვე სეიმონ ალეგრუანის კაცრის ქერეკს ანსტასიას, რომელმაც შემოსწირა ერთი მაცხოვრის სატი, ღირებული სუთ მან. ,და ერთი წეკილი ბაირაღი, ღირებული ოცდა-ათ მან.; ჯნაზეულს ფარნოზ ოტაის შეს გრეგოდაშვილს, რომელმაც შემოსწირა ერთი კერცხლის დაოქროვებული დიდი სასაწოლე ტრაპეზეზედ დასადგმელი, ღირებული ოთხმოცდა ოთოხმეტ მან. ,და მეორე გიდდის კაცრას დიმიტრი ზაადის ძეს შოგტაის, რომელმაც შემოსწირა ერთი საშუალო შანდალი, კანკელის წინ დასადგმელი, ღირებული რვა მანეთად.

დეკანოზი რაჟდენ გიგაურიეი
ქუთაისი.

დეპეშა

15 ივლისი

პეტერბურგი. სრულიად სომეხთა კათალიკოზს მკრტიჩს ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა.

პარიჟი. საიგუნიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ გადაწყვეტილია სიამის ზღვის ყურეზედ კუნძულები დაიპირონ. საფრანგეთის დროშა ამართეს კონგისა და კონგ-სალემის კუნძულებზედ.

16 ივლისი

პეტერბურგი. ფინან-სთა სამინისტრომ შეიმუშავა წესდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა.

გზათა სამინისტროს მიერ გაგზავნილი გრაფი ლუბენსკი დაბრუნდა მოგზაურობიდგან და მოახსენა მთავრობას, კარგის მოსავლის გამო საპროოა კურსკს ხარკოვს — აზოვისა, ეკატერინისა, დონეცისა და ლოზოვო-სევასტოპოლის რკინის გზებს მიემატოს საქონლის გადატან-გადმოსატანად 2000 ვაგონი და 100 ორთლმავალიო.

მოსკოვი. სადგურ ბრესტზედ აღმოჩენილი გვამი, დასახჩრეულის თავით, გაგზავნილი ყოფილა ვიღაც ვასილიევის-მიერ, რომელსაც ტყუილი ადრესი ჩაუწერინებია-

მალტა. სამხედრო სასამართლომ დაადგინა, ხომალდ „ვიქტორიის“ დაღუპვაში დამნაშავეა მხოლოდ ადმირალი ტრეტონონი, კაპიტანი ბოჩკი-კი და სხვა დამჩრავლნი ოფიცერნი გასაკიცხნი არ არიანო.

ეტერბურგის ბირჟა, 13 ივლისი.

	ფასი ფურცლისა.	გაყიდვა-ფასი.	ბეჭდვა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	$7\frac{100}{100}$	$7\frac{1}{10}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	$153\frac{1}{2}$	154	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	— ,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის ბომბეგი ბილეთი	— ,,	— ,	$240\frac{3}{4}$
—მეორისა	— ,,	— ,,	$224\frac{3}{4}$
4% მესამე სესხისა. . .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . .	— ,,	— ,,	194
გრაუნბობის ფურცელი			
ტფილისის ბანკის:			
6%.	— ,,	$101\frac{1}{2}$	— ,,
5%.	— ,,	$100\frac{1}{4}$	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%.	— ,,	$101\frac{1}{2}$	— ,,
5%.	— ,,	$100\frac{1}{4}$	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,	$98\frac{3}{4}$

გამოსაძებელი ცნობანი

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაკოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაკოდგან ტფილისს მოდის „ . . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘᲗ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეიღლის ნოვოროსიისკშის რვიოობით დამის 2 საათზე, შორის. გზით, შეიღლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘᲗ: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ:

დამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘᲗ: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲗᲘᲗ: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘᲗ: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘᲗ: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

ᲤᲝᲗᲝᲨᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ:

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲗᲘᲗ: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეიღლის, დილის 5 საათზე.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲗᲘᲗ: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეიღლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურება მიიღებიან უსაზღლოდაც

განცხადებანი

ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 25 ამა ივლისს, დილის 8 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის მიწის 26 ნაკერის გასასყიდად. ეს ადგილები იმყოფება ტფილისის მე-10 ნაწილში, რკინის გზის ლიანდაგის დადგმა, ბოჩკოვსკის აგურხანის მახლობლად. გაიყიდება აგრედვე იჯარით ერთი ნაკერი მიწა, ავჭალის ქუჩაზედ, ონან პირას სახლებთან. ვაჭრობა ადგილობრივ მოხდება.

(2—1)

კბილის ექიმი
ა. ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ᲐᲓᲐᲓᲘᲗᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲡ:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲛᲫᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—71)

ისყიდება ტფილისში „ქართველთა ამხანაგობის“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

გორში ალეს კალანდაძესთან.

ქუთაისში: ა. ხეთერელისა და წერაეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქვლივიძესთან.

ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ

მოსწრობა

Ე. ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

გამოცემული

Ჯ. გოგუაძისა და დ. ქვლივიძის მიერ

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ

მამოსაძებელი ცნობანი
პირველი ბერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ᲙᲣᲙᲘᲐᲨᲘ, ᲕᲐᲠᲐᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

ᲓᲘᲚᲘᲡᲗᲝᲕᲘᲡ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩაქოანი, 9—$10^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. ბ. რუგოვსკი, 10—$11^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ᲑᲠᲝᲢᲙᲘᲡᲔᲒᲘᲩ, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ს. Ზ. ᲙᲐᲠᲐᲨᲔᲕᲩᲘᲐᲜᲪ, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲛᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ:

ი. Გ. ᲩᲘᲮᲣᲠᲒᲝᲕᲩᲘᲐ, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) დ შარდს.

ს. ს. ᲒᲐᲦᲝᲛᲩᲘᲐ, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ს. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 7—$7^1/_2$ საათამდის.

Ე. Ი. ᲤᲠᲐᲜᲪᲝᲕᲡᲘᲐ, $7^1/_2$—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ᲐᲗᲐ მაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებეთ.

დარქტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡᲐ.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა კრთი (41) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—31 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში—2 (8 და 9 წლ. ყმაწვ.), მესამე განყოფილებაში—4 (9 და 10 წლ. ყმაწვ.) და მეოთხეშიაც—4 (10 და 11 წლ. ყმაწვ.). პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთში არ არის თავისუფალი ადგილი.

2.) 41 ვაკანსიისაგან 37 არის დანიშნული გარეგან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში—ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების სრულს ხარჯზე და ერთი (1) ნახევარს ხარჯზე.

3.) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქმნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.

გარეგან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანათი—ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4.) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისგან, გ) მოწმობა ტფილისის სადავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა ან გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატა ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილისყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეკზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის-რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვს შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანონს პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდან.

8) შესაძლებელი მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხრჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანს წელიწადში, ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной ул. въ д. Гургенбекова.

10) მარიამობისთვის 26, 27 და 28 რიცხვებს მოხდება მისაღები ეკზამენები და ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან ეგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალის $18^{93}/_{94}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს (4—21).

Доз. ценз. Тифлисъ, 16-го Іюля 1893 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡᲐ რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ